

SYNTHETIC ANALYSIS OF RENAISSANCE RECEPTION IN GEORGIAN
LITERATURE AL. KHINTIBIDZE, N. ACCORDING TO THE RESEARCHES OF
NATADZE AND SOSO SIGUA

რენესანსის რეცეფციის სინთეზური ანალიზი ქართულ ლიტერატურაში
ელ. ხინტიბიძის, ნ. ნათაძისა და სოსო სიგუას კვლევების მიხედვით

Marine Tsertsvadze

Doctor of Philology,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995577251218, tsertsvadzemarina@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8142-3771>

Mariam Tsikaridze

Doctoral student at the Faculty of philology of Tbilisi State University,
Ilia tchavchavadze Ave. Building 3,11b, Georgia,
+995598896144, tsikaridzemariam125@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-1724-1449>

Abstract. The understanding of the reception of the Renaissance in the history of Georgian literature research is somewhat different. In this paper, we will consider E. Khintibidze, S. Sigua and R. Siradze's essay and we will make a synthetic analysis, present the similarities and differences between these works. The Renaissance definition of "Vefkhsitkaosni" has become a kind of prize stone for researchers, the difference of opinion is quite understandable, because the work was created in an era in which Georgia had great proximity to Eastern culture. It is in this context that we will try to reconcile the opinions expressed by the researchers in the paper.

Keywords: Renaissance, synthetic analysis, reception, Georgian literature.

მარინე ცერცვაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251218, tsertsvadzemarina@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8142-3771>

მარიამ წიქარიძე

დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი III, 11ბ,
+995598896144, tsikaridzemariam125@gmail.com
<https://orcid.org/0009-0004-1724-1449>

აბსტრაქტი. ნაშრომში გრძელდება რენესანსის რეცეფციის გააზრება, რომელიც ქართული ლიტერატურის კვლევის ისტორიაში, გარკვეულწილად, განსხვავებულია. მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ ელგუჯა ხინთიბიძის, სოსო სიგუას, ნოდარ ნათაძისა და რევაზ სირაძის კვლევებს, გავანალიზებთ, წარმოვადგენთ მსგავსება-განსხვავებებს მოცემულ ნაშრომებში გამოთქმულ აზრებს შორის. რენესანსისა და „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა ერთგვარი საჯილდაო ქვა გახდა მკვლევართათვის, აზრთა სხვადასხვაობაც სავსებით გასაგებია, რადგან პოემა შეიქმნა ეპოქაში, რომელშიც, საქართველოს, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კულტურასთან დიდი სიახლოვე ჰქონდა. შევეცდებით ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში შევაჯეროთ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

საკვანძო სიტყვები: რენესანსი, სინთეზური ანალიზი, რეცეფცია, ქართული ლიტერატურა.

შესავალი. აღმოსავლური რენესანსის კონცეფცია ქართულ ლიტერატურაში შალვა ნუცუბიძემ შემოიტანა, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რენესანსული კულტურისა და მისი წარმომავლობის წინამორბედი აღმოსავლეთის ქვეყნებია. სოსო სიგუას ნაშრომის მიხედვით, საქართველოში რენესანსული ტენდენციების დამკვიდრებას ეკონომიკური მდგომარეობაც უწყობდა ხელს. ამავდროულად, წინ წამოწეული იყო ქალის კულტი, რომელიც საერო მწერლობაშიც ჩანდა. მოცემულ ნაშრომში პარალელი გავლებულია ევროპულ კულტურასთან, რომლის წარმომადგენლებიც იყვნენ პროვანსელი ტრუბადურები, ფრანგი ტრუვერები და გერმანელი მინეზინგერები. ფაქტობრივად, ჩვენ ვმსჯელობთ ქართული რენესანსის ევროპულსა და აღმოსავლურ ხასიათზე, თუმცა ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს ძველი ბერძნული კულტურაც, რადგან საერო მწერლობაში მნიშვნელოვნად იყო ფორმირებული ბერძნული სიბრძნე. არაბულ კულტურაში იგულისხმებოდა ხორციელი ტრფობის იდიალიზება, რაც გამოჩნდა „ვეფხისტყაოსანში“.

ნოდარ ნათაძის თვალსაზრისით, რენესანსი „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილი იყო, როგორც ბორკილებისგან გათავისუფლება, შუასაუკუნეობრივი ძილისაგან გამოღვიძება, როდესაც ადამიანი თავისუფლდება კლიშეებისაგან და შეიმეცნებს საკუთარ მეს, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, მოცემული თვალსაზრისები აერთიანებს ჩვენს მიერ განხილულ მკვლევართა წერილებს.

ნაშრომში განვიხილავთ ელგუჯა ხინთიბიძის დასკვნებსაც რენესანსის რეცეფციასთან დაკავშირებით, სადაც მეცნიერი მსჯელობს იმის შესახებ, რომ ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის ძველი აღმოსავლური, ფილოსოფიური და ტრადიციული გავლენა.

ნაშრომის პირველ ნაწილში „რენესანსის რეცეფციის სინთეზური ანალიზი ქართულ ლიტერატურაში“ განვიხილეთ რეზო სირაძის ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები რენესანსის შესახებ, კერძოდ, აღვნიშნეთ, რომ რევაზ სირაძის ინტერესი მიემართებოდა პერსონაჟების შეფასების საკითხს, თუ როდის უნდა შეგვეფასებინა პოემის გმირები, ნაწარმოების დასაწყისში, ძირითად ნაწილსა თუ დასასრულში. ამავდროულად, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პერსონაჟები თვითონვე ხატავენ ეპოქის სახეს. რეზო სირაძე, არკვევს რა რენესანსის რეცეფციას ქართულ ლიტერატურაში, აკეთებს დასკვნას, რომ საქართველოშიც და იტალიაშიც რენესანსული პიროვნებანი თავს არა ღვთის მონად, არამედ ღმერთის რაინდ-მსახურად მიიჩნევდნენო, ამით ძალიან ამაყოფნენ. ეს ეამაყება შოთა რუსთველსაც და მის პერსონაჟ ავთანდილსაცო. ავთანდილს აკლია სამიჯნურო გახელება, ეს კი საკმარისია იმის სათქმელად, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს ბოლომდე რენესანსული პერსონაჟის იდეას, თუმცა მისი უნივერსალურობა პოემაში წარმოდგენილია, როგორც პერსონა, რომელსაც შეუძლია მეგობრის გამო გაწიროს თავი. „აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ რენესანსული სახისმეტყველება პოემის გმირთათვის ფარდობითია, მეტად ინდივიდუალური, რადგან ეს სულისკვეთება თავის თავში აუცილებლად მოისაზრებს სიყვარულისგან გადარევას, მისთვის აუცილებელი კანონზომიერებაა, რუსთველი კი არღვევს ამ კანონზომიერებას, მიუხედავად ამისა, არავინ დაობს პოემის რენესანსულობაზე. გმირები თავისი ხასიათით ავსებენ ერთმანეთს და განაპირობებენ პოემის რენესანსულ ხასიათს. (წიქარიძე, 2023: 51) სწორედ ამას უსვამს ხაზს რევაზ სირაძე ნაშრომში, თანაგრძნობა და სიყვარული ეს არის რაინდული სულისკვეთების მახასიათებელი, რომელსაც დონ-კიხოტის ეპოქაში აღარ არის პოპულარული, თუმცა მაინც აღნიშნავს მკვლევარი „იქ, სადაც განისვენებს დონ-კიხოტი, არის საფლავი რენესანსისა“ (სირაძე, 2021: 357).

მეთოდები. შრომების გასაანალიზებლად ვიყენებთ ინტერპრეტაციის, ჰერმენევტიკულ, კომპატატივისტიკულ და შედარებით-ტიპოლოგიურ მეთოდებს, სინთეზური ანალიზის მეთოდს.

შედეგები და მსჯელობა. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ არის ნაწარმოები, რომლის მიხედვითაც გვეძლევა შესაძლებლობა ვეძიოთ საფუძვლები საქართველოში რენესანსის დამკვიდრების, მიმდებლობისა და წინაპირობის შესახებ. ცნობილია საქართველოს ურთიერთობა აღმოსავლურ და დასავლურ ქვეყნებთან, ამავდროულად, ქართველი ხალხის დამოკიდებულება ქალთან და სამეფო კულტთან დაკავშირებით. მკვლევარი სოსო სიგუა, რენესანსში ქალის გაიდეალების წინაპირობად ერში მიღებულ იდეალებს მოისაზრებს, წმიდა ნინოსა და ღვთისმშობლის სახით, თუმცა, სავსებით გასაგებია მისი ის შეხედულებაც, რომ ქართველმა ხალხმა ღმერთთან მიმახლოვებლად არა მესია, არამედ განმანათლებელი და ღვთისმშობელი მიიჩნია. რევაზ სირაძე წერილში „ადამიანის რენესანსული იდეალი“ ადამიანს სამყაროს ცენტრად მოიხსენიებს და არგუმენტად ბიბლია მოჰყავს, „შესაქმეში“ სწორედ ბოლო დღეს შექმნა ადამიანი ღმერთმა, მას შემდეგ, რაც სამყაროს ქმნალობა დაასრულა. ადამიანი „უთვალავი ფერით“ მორთული სამყაროს გვირგვინია, სწორედ ეს ფაქტიც აღსანიშნია, ზოგადად, რენესანსის საწყისების ძიების დროს; ფაქტობრივად, ადამიანი თავიდანვე გაიდიალებული იყო, როგორც მსგავსება და ხატება უფლისა, ცოდვით დაცემის შემდეგ კი დაკარგა ყოველივე ეს.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“, გარკვეულწილად, გაღმერთებულია ქალის კულტი. სოსო სიგუას აზრით, ეს სწორედ თამარის პოლიტიკურმა სვლებმა გამოიწვია,

რადგან თამარ მეფის ეპოქა იყო ოქროს ხანა, ეტიკეტები და სამეფო კარზე ურთიერთობები კი რენესანსის დილა.

იმ ნაშრომებში, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ ასე არ მსჯელობენ რენესანსულ რეცეფციასთან დაკავშირებით არც ელგუჯა ხინთიბიძე და არც ნოდარ ნათაძე.

ნოდარ ნათაძის აზრით, მიჯნურობის ფილოსოფიური დასაბუთება არ უდრის რენესანსს, მისთვის ამ ეპოქისთვის ყველაზე თვალსაჩინო რენესანსისეული გამოვლინება იყო რელიგიური ბორკილებისაგან გათავისუფლება. ევროპაში ამგვარი კლიშეებისგან გათავისუფლება, სწორედ, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო და რადგანაც საქართველოშიც სწორედ ამ დროს დაიწება სამიჯნურო პოეზიის აღმავლობა, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ვისაუბროთ სამიჯნურო პოეზიის განვითარებაზე საქართველოსა და ევროპაში, როგორც პარალელურად წარმართულ პროცესებზე. წერილში ვხვდებით მოსაზრებას მიჯნურობის პარალელების გააზრებას აღმოსავლურსა და დასავლურ კულტურათა შორის. ავტორის აზრით, ის ფაქტი, რომ ნაწარმოებში სამეფო პირების სასიყვარულო ურთიერთობაა აღწერილი, აღმოსავლური პოეზიიდან, კერძოდ, „ვისრამიანიდან“ მოდის, ხოლო გულანშაროში განვითარებული მოვლენები კი ევროპული ქალაქის ანალოგიას გვიჩვენებს.

ელგუჯა ხინთიბიძე, ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ ერთ-ერთ თავში-„შუასაუკუნეობრივი და რენესანსულის ჰარმონია“, გამოდის ეროვნული თვალსაწიერიდან და ისე საზღვრავს პოემაში განვითარებულ მოვლენებს. მისი მსჯელობის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაწარმოებში ანტიკური, აღმოსავლურიც და ევროპული ნიშნები შტრიხების სახით არის და ეროვნული კუთხით მისაღები ფორმითაა წარმოდგენილი: „XII-XIII საუკუნეებში, ინტელექტუალურ წრეებში უაღრესად პოპულარულია ანტიკურ-ბერძნული, კერძოდ, ნეოპლატონური და არისტოტელიანური ფილოსოფიური ელემენტები, სპარსული ეპიკისა და არაბული მეცნიერების ცალკეული შტრიხები.“ (ხინთიბიძე, 2009: 751) სწორედ აქედან გამომდინარე, ადასტურებს ავტორი შოთა რუსთველის პოეტური სიტყვის წარმომავლობას და წერს, რომ იგი ეპოქას გასცდა და ევროპული ცივილიზაციის ახალი ეტაპის, რენესანსის, აზროვნებას მიესადაგა. ნაშრომში რ. სირაძე რენესანსის ეპოქას წარმოადგენს როგორც დრამას, რომელშიც კულტურული ისტორიის მოვლენებია განხილული, ამავედროულად, პერსონაჟების ინდივიდუალიზმი ქმნის რაციონალურ სიზუსტეს ღრმა ფსიქოლოგიზმთან ერთად. სწორედ ამიტომ უწოდა ელგუჯა ხინთიბიძემ საკუთარ წიგნში „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ ერთ-ერთ თავს „ვეფხისტყაოსნის“ შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ჰარმონია“.

ადამიანი შეიქმნა სამყაროს გვირგვინად, სწორედ რენესანსიც ამგვარი კუთხით განიხილავს ადამიანის მყოფობას დედამიწაზე. რა თქმა უნდა, ადამიანი რომ სამყაროს გვირგვინია ეს მსოფლიომ XIII საუკუნის მიჯნაზე კი არა ძველი აღთქმის პერიოდიდანვე იცოდა. ელგუჯა ხინთიბიძის მიერ განხილული ტაეპიც სწორედ ამაზე მიგვითითებს და მკვლევრის აზრითაც ის ითვლება ძველის, ტრადიციულის, შუასაუკუნეობრივისა და რენესანსულის შერწყმად - „მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს; ... მუნ ერთმანეთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით.“ მოცემული ტაეპის და მსჯელობის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია“, როგორც იტყოდა ეკლესიასტე და არც რენესანსი ყოფილა სამყაროსათვის მიუღებელი, სწორედ ადამიანის ცენტრალურ ფიგურად წარმოდგენა იყო ძველი ბერძნული თუ ბიბლიური ფილოსოფიის მიხედვით მნიშვნელოვანი და არა უცხო. როგორც ჩანს, როდესაც პოემას განვიხილავთ, არ უნდა ვეძიოთ მასში ცალკეული ფილოსოფიები, რადგან ასეთი ელემენტები გვხვდება როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური და ძველბერძნული ფილოსოფიური ცოდნიდანაც.

ელგუჯა ხინთიბიძე განმარტავს, თუ რა არის შუასაუკუნეობრი რენესანსული ჰარმონია. როგორც მეცნიერს მიაჩნია, ის საფუძველია რენესანსული მსოფლმხედველობისა. მკვლევარი შოთა რუსთველის შემოქმედებას ადარებს დანტე ალიგიერს, რადგან იგი, როგორც შუასაუკუნეების უკანასკნელი და თანამედროვეობის პირველი პოეტი, დგას გზაგასაყარზე. სწორედ ასე დგას რენესანსისა და შუასაუკუნეების გასაყარზეც შოთა რუსთველი.

დასკვნა. მოცემული მსჯელობის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არ იქნება მართებული ცალსახად საუბარი იმის შესახებ აღმოსავლური გავლენით იყო განპირობებული „ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენული რენესანსის ელემენტები თუ დასავლურისა, რადგან შუასაუკუნეობრივის გარდა პოემაში ანტიკური, ბერძნული ფილოსოფიის ელემენტებიც გვხვდება, ამავდროულად, გააზრება იმ ფაქტისა, რომ პოემაში განვითარებული მოვლენები ეროვნული თვალსაწიერიდან მომდინარეობს და სულისკვეთება უცხო არ არის. რევაზ სირამის მიერ, ჩამოყალიბებული რენესანსის ნიშნები კვლავ მიემართება ანტიკის სამყაროს, რომელშიც აღმოჩნდა ადამიანი, სამყარო და მისი აღქმისთვის ჰუმანიზმი. როგორც ელგუჯა ხინთიბიძე დაწერს, „ფაბულა არა მარტო ემსგავსება გვიანდელი შუასაუკუნეების აღმოსავლურ ეპიკას, არამედ ამ ფაბულას ფილოსოფიური ქვეტექსტიც გვიანდელი შუასაუკუნეების თემატიკაა. კერძოდ, მსგავსად ამ პერიოდის დასავლური კურტუაზიული რომანისა, პოემის გმირის მოქმედება არის ძიება და ამ ძიების ობიექტი არის შუასაუკუნეობრივი ფაბულა რუსთველის მიერ.“ (ხინთიბიძე, 2009: 787) მოცემული ძიება კი მრავალგვარი კუთხით არის გააზრებული მკვლევრების მიერ, სწორედ ამის ცდა იყო ჩვენი მხრიდან მოცემული წერილების გარჩევა. პოემაში ავტორმა წარმოგვიდგინა სახე პერსონაჟებისა, რომლებიც ამაღლებულნი არიან ფიზიკურადაც და სულიერადაც, ეს ორივე კი ერწყმის ერთმანეთს და იდიალურს ხდის პიროვნებას, ვფიქრობ, მისი ამგვარი ქმედება სწორედ იმ ჰარმონიის შესაქმნელად არის წარმოდგენილი, როდესაც იქმნება სამყარო სადაც თხასა და მგელს ერთად შეუძლია თანაარსებობა. ადამიანის ფიზიკურმა სრულყოფილებამ არ უნდა დაჩრდილოს პიროვნული, პიროვნულმა კი პირიქით- ფიზიკური. რენესანსი იდეალია, სწორედ ამიტომ არის იდეალური პერსონაჟი ამ ეპოქაში, მაგრამ ეს არ ხდება უბრალოდ, შემთხვევით. ტარიელსაც უწევს გადალახოს წინააღმდეგობები, იბრძვის და იბრძვის ნესტანიც, თუმცა სწორედ ხსნა მაშინ მოდის როდესაც „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“. ვფიქრობ, შოთა რუსთველი ნათლად წარმოადგენს გზას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ადამიანი განთავისუფლდეს მანკიერებებისაგან და იქცეს ისეთ სრულყოფილ პიროვნებად, როგორადაც „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები იქცევიან. ამისკენ სავალ გზაზე კი აუცილებელია ღვთაებრიობის შენარჩუნება, ბალანსი, რომელსაც ავთანდილი იცავს და მიუხედავად იმისა რომ გამიჯნურებულია ტოვებს სატრფოს და ტარიელის საშველად მიემართება „მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა“, - ამბობს იგი, რითაც ხაზს უსვამს იგი საკუთარ არჩევანს, „არ გადავა გარდუვალად, მომავალი საქმე ზენა“. როგორც ვხედავთ, პოემას არა მხოლოდ პერსონაჟების გაიდიალება ხდის ორიგინალურს, არამედ ბალანსიც, რომელიც შუასაუკუნეობრივ საგმირო ეპოსსა და რენესანსს შორის აღიმართება.

გამოყენებული ლიტერატურა

- ნათაძე, ნ. (1965). *რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- სიგუა, ს. (2018). *ქართული კულტურის ისტორია*. თბილისი: საარი.
- სირაძე, რ. (2021). *ფიქრი, რომელიც მნიშვნელობს*. თბილისი: არტანუჯი.
- წიქარიძე, მ. (2023). „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი ანალიზი XX საუკუნის წერილებსა და ესეებში. გორი: სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ხინთიბიძე, ე. (2009). „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო. თბილისი: ქართველოლოგი.

REFERENCES

- natadze, n. (1965). *rustveluri mijnuroba da renesansi [Love and Renaissance According to Rustaveli]*. Tbilisi: Sabchota sakartvelo.
- sigua, s. (2018). *kartuli k'ult'uris ist'oria [History of Georgian culture]*. Tbilisi: Saari.
- siradze, r. (2021). *pikri, romelits mnishvnelobs [A thought that matters]*. Tbilisi: Artanuji.
- ts'ikaridze, m. (2023). „*vepkhist'qaosnis“ sakhismet'qvelebiti analizi XX sauk'unis ts'erilebsa da eseebshi [“The knight in the panther skin” in the letters and essays of 20th century]*. Gori: Gori State University.
- khintibidze, e. (2009). „*vepkhist'qaosnis“ ideur-msoplmkhedvelobiti samqaro [Ideological Universe of “The Knight in the Panther's Skin]*. Tbilisi: Kartvelologi.